საპასუხოდ არ გავიყვებოდი, მაგრამ რადგან თქვენი წერილის ბოლო მონაკვეთში რესპუბლიკის პარლამენტსაც მოუწოდებდით კონსტიტუციური დიპლომატიის, მე კი პარლამენტის წევრი და თანაც იმ მუდმივი კომისიის მდივანიც ვახლავართ, რომელსაც უშუალოდ ევალება მისობრივი ინფორმაციის საშუალებებზე კონტროლი და დიპლომატიის განხორციელება და წამოჭრილი პრობლემების შესწავლა, ამიტომ ვადაწყვეტებ ამ პასუხის დაწერას.

რადგან ყველანი განსხვავებული აზრის მომხრე ბრძანდებით, ალბათ, ჩემი აზრით განსხვავებული იქნება, მაგრამ ამის გამო იმდენი მაქვს არც დამარცხავთ და არც დიქტატურის მსახურად მომხმარებთ. გარდა ამისა, ზოგიერთ თქვენთაგანს ვიცნობ კიდევ, კოლეგები იართ, თქვენი პუბლიცისტური წერილები მინდვით, თქვენს სულიერი განწყობილებასაც ვგრძნობ, აქამდე თითქოს თანამოაზრეებიც ვიყავით, ერთად ვაწერდით ხელს მწერალთა კავშირში მომზადებულ მიმართვებს, პეტრიცებს საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, იოდნად ვერ გამოვიდა, ახლა რა მოხდა, „რამ შეიცვალა გუნდა“, რა ჩაიდინა ისეთი ეროვნულმა პარლამენტმა, ამის მიხედვით თქვენს მიერ, ან მის გარეშით მდგომარეობა ხალხმა, რომ ხმა მალა, მთელი ქვეყნის გასაგონად გამოაცხადეთ, „დიქტატურამდე ის ერთი საბერძნეთის ნაბიჯიც აღარა დაარჩენილი“. პრეზიდი ამის გაცხადება ძალზე ხმა მალა ხომ არ უნდა? მით უმეტეს, თუ იგი საერთაშორისო სამართლის ნორმებს ეწინააღმდეგება და ცილისწამებასაც შეიცავს. ბატონებო!

ისევე ვიმოგონებ, რა მოხდა ამ სამოთხე თვეში? რომელ ეროვნულ მრწამსს უღალატა პარლამენტმა, რას ეწინააღმდეგება თქვენი განსხვავებული აზრი? ენა, მამულს, თუ სარწმუნოებას? „არა, არა, არა, მაგ განსხვავებული აზრებს აქამდე სად მალავდით? როგორ დავიწყებო, რომ რომელიმე თქვენთაგანი, მიმართა ან ტელევიზიაში, ან რადიოში, ან რედაქციაში და უარი უთხარს იმ მოტივით, განსხვავებული აზრი გაქვსო.“

ბატონებო! რამდენიმე თვეწინაგან პირად თუ საზოგადოებრივ საქმეზე უხუნაეს საბჭოშიც მომხმარებულა, თქვენი მეგობრებიც ამყარებენ კონტრაქტებს კულტურის, განათლების და მეცნიერების მუდმივი მჭიდრო კომისიისთან, ზოგს უარსა-გაზეთების რეგისტრაცია სჭირდება, ზოგს საზღვარგარეთ შემოქმედებით, მივლიანების გავორძედა (თუმცა კომისია აქ არაფერ შუაშია), ზოგსაც პირადი გასაჯარი აქვს (პრობლემებს რა გამოვლევს დღევანდელ ცხოვრებაში), მაშ, რატომ ერთ-ერთმა რომელიმე თქვენთაგანმა უხუნაეს საბჭოში „განსხვავებული აზრის“ შესახებ წინადადება არ წამოაყენა, როგორც ამას ნამდვილ დემოკრატიულ ქვეყანაში აკეთებს თანოხიანა. თუ პასუხს ვერ მიიღებდით, მერცე შეიძლება აღსაყდრის ვაგზაინა უხუნაეს საბჭოს თავმჯდომარესთან. ასე ამ საკითხის დაყენება ვითომ უმტკივნეულოდ არ მოგვარდებოდა? უამრავი ხალხი მოდის ჩვენთან და გვთავაზობს დახმარებას. მათ შორის, თანოხიანად, კულისხმად ყურადღებით, ვითვალისწინებთ მათ შენიშვნებს, წინადადებებს, ვკამათობთ კიდევ, მაგრამ მაინც მშვიდობიანად ვშორდებით ერთმანეთს. სულ მალე ჩართვასაც მივიღებთ პრესის შესახებ. ასე რომ, შეიძლება გამოსავლის მოძებნა.

ბატონებო! ახლა გამუდმებით ენაზე გაქვით, ნეობოლმეტიკურად და ნეოკომუნისტურად იქცევა ახალი ხელისუფლება, კომუნისტური დიქტატურის პირობებში ტელევიზია და პრესა ვითომ უმრავლესობას ემსახურებოდა, სინამდვილეში კი უკუაქვს ხდებოდა.

მართლაც ბრძანებთ, ბატონებო! ოდნად განსხვავება ის არის, რომ კომუნისტური რეჟიმი კომუნისტური იდეოლოგიის ქმნიდა, ტრადიციული სახელმწიფოს იდეების გაბტკივებას ემსახურებოდა, კომუნისტური მთავრობა კრემლის

მიერ დანიშნული ფუნქციონირებისგან და ხელმძღვანელებისგან შედგებოდა, ამჟამინდელი კი (მიუხედავად იმისა, რომ „ყურს გიხედნით“ ამგვარი აღიარება), ხალხის მიერ არის არჩეული და ტელევიზიაც სწორედ მის ნებას გამოხატავს. რაც შეეხება იმ „უმშობიარებას“, რომლის „დეკრეტ“ ტელევიზიამ დაიწყო, ანუ „განსხვავებული აზრი“ პოლიტიკურ ამინდს ექვსად შეცვლის, ზოლო მოხსნება და გაღიზიანებულ ადამიანებს საპაექრო ადგილად ტელევიზიის ვერ გამოადგებათ. არც ერთ ცივილიზებულ სახელმწიფოში არ არსებობს წესი, რომლის მიხედვით უმცირესობას შეუძლია უმრავლესობის დაჩაგრვა და დაბრკობა, როდესაც „უმცირესობა“ თვითონ დაჯდება ხელისუფლების სათავეში, მაშინ შეუძლია გაატაროს

# ღია ფარილი

## გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული ნარილის აბტონს და ხელმოწერებს

ის პოლიტიკა და რეფორმები, რომელიც მისაღები იქნება და რომელსაც ხალხიც დაუჭერს მხარს. „მაგრა იტყვი ჩემი სჯობსო, უცხოობაში ვითა ჩორი“... გვეუბნება შოთა რუსთაველი. ზოგიერთი მოპაექრე ამ „უცილობლობაზე“ დღეს შემდგარი და მიზეზს ეძებს საჩხუბრად. ამას ტელევიზია როგორ აისრუებს, ბატონებო! ანდა, იქნებ „განსხვავებული აზრის“ იმას უწოდებთ, როდესაც ეროვნული პარლამენტის მიმართ ურთიკმყოფელი გამოთქმების კონკრეტული არყდება ხოლმე პრესის ფურცლებზე, ანდა როდესაც უხუნაესი ფრაზებით უმწოდებდნენ (იხ. თუნდაც „თავისუფალი საქართველო“, 15. III, „შეხვედრა ყოფილი იმეღი“). ამგვარი „ანგარიშსწორება“ განსხვავებული აზრი კი არა, განსხვავებული მტრობაა!

წერილიდან ისე ჩანს, თითქოს თქვენი განცხადება-მიმართვით პოლიტიკაში ჩაურეველი პირთაგანები ბრძანდებით, მაგრამ როდესაც წერილის ხელისმომწერი თანაგან რამდენიმე კონკრეტულ წევრს (თანაც პოლიტიკაში აქტიურად ჩართული), ხოლო დანარჩენი — მისი მხარდამჭერი, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ თქვენ მშვენიერად აქვთ მით თქვენი განცხადების მნიშვნელობა და ამ განცხადებით ცდილობთ მთავრობის მიერ აღებული პოლიტიკური კურსის გადახრას დაეხმაროთ იმ ძალას, რომელიც ყოველ შეკრებას, მიტინგს, თუ განცხადებას ხმამაღალი მორღობით ამთავრებს: — „ჩვენ ყველანი ერთად ვეცდებით გავაღრმავოთ კონფორტაცია ხალხსა და უხუნაეს საბჭოს შორის, იბრძობოთ მანამდე, ვიდრე ფიზიკურად არ გავანადგოვებთ უხუნაეს საბჭოს“... თქვენს მიმართებას ხელს აწერს კაცი. რომელიც ამას წინაა, მთავრობის სახის წინ, სახელდახლოდ გამართულ მიტინგზე, ხმამაღალი, ომიანიან, „ჩაუშესკოს“ ეძახდა უხუნაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ხოლო უხუნაეს საბჭოს „მრავალი მაილის“ დიქტატურა... ზოგიერთ თქვენთაგანს მოვლდით აქვს მსოფლიო, მათ შორის, ამერიკა. აბა, კითხვით ერთი, თერთი სახლის წინ პრეზიდენტისათვის მადან და მადან კაცს ამგვარი ძახილით რომ ყურები გამოეჭიდა, რას მოინდოდა, „გმობობისთვის“ შეიქმნდნენ, თუ მიმართებდნენ სულაც ჯერ არს!

ბატონებო! თქვენს წერილს ტელევიზიისადმი ბრალდებით და ვალერია ადვანისა და აკაკი ბაქრაძის დაცვით იწყებთ. თქვენ ისტატურად იყენებთ ვახტანგ ბოკორიშვილის საპასუხო გამოსვლას და ცდილობთ მისი და სხვა ტელევიზიურებულთა საპასუხო გამოსვლებიც ტელევიზიის დიქტატის გამოვლინებად წარმოადგინოთ. როგორ გვეკადრებათ, ბატონებო! მე ვატყობ, გინდათ, მხოლოდ თქვენ გამოძიან-

დეთ „განსხვავებული აზრით“ ეკრანზე, და მერე მორჩა, წერტილი დაესვას, აღარაფერ გამოგვასახებთ. ბატონი ვახტანგ და სხვებიც იმდენად მორიდებულნი და პატივისცემით აღსავსე ტექსტებით შეეკამათნენ ბატონ აკაკის, რომ ნებისმიერ, ოდნავ სამართლიან საზოგადოებაში მათ გამოსვლას მართლაც განსხვავებული დაეჭმეოდა, მაგრამ აგერ, თქვენი განცხადებიდან გამომდინარე, რომ თურმე დიქტატურა ყოფილა... კი მაგრამ, განა ჩვენ, წლების განმავლობაში, ბატონ აკაკის, ან ვალერიან ადვანის, ან თქვენთაგან ზოგიერთს ხმის გაცემას ვკადრდებით? სიტყვები ვუბრუნებდით? განა რომელიმე თქვენთაგანისთვის ან ფრაზა დაგვიწუნებია, ან შემოქმედება? სხვათა შორის, ერთ-ერთმა თქვენთაგანმა ხელისმომწერი „გაბედა“ და კახეთ „ქართულ ფილმში“ ბატონ აკაკის საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა სცადა, მაგრამ განა მაშინ ვინმეს გაუჭვირდა? ვინმე ახ-

მაურდა, როგორ გაუბედაო? სხვა დროსაც ყოფილა საწინააღმდეგო აზრების განვითარება, თუნდაც რუსთაველის საზოგადოების პირველ ყოვლისაზე, სადაც „არაფორმალური“ დახმარებით ბატონ აკაკის პრეზიდენტობა „მოვიგეთ“, მაგრამ განა მაშინ, ახლანდელ ხელისმომწერთაგან ზოგიერთი წარმომადგენელი, მის პრეზიდენტობას ცინიზმით არ უყურებდა და თვითონ არ ემზადებოდა გენერლის მუნდირისთვის?

ბატონებო! ახლა „დიქტატორისგან“ ვალერიან ადვანის დასაცავად რომ აღსდგეთ, მაშინ რატომ არ გამოაცხადებთ დიქტატურის ნიშნები შემინავთ, როდესაც ზოგიერთი თქვენთაგანი ისე შებრძანდა ეროვნული თანხმობის და აღორძინების კავშირში, რომ შენასწარ არც გამოქვეყნებული წერილი წაუკითხავს, არც ყურადღებას დასწრებია და არც პროგრამას და წესდებას ვაცნობდა. რატომ მაშინ არ იბმადლეთ ხმა, თქერისა და ბალეის. თეატრში ეროვნული თანხმობის და აღორძინების ყრილობა მხოლოდ ერთი კაცის სკინარით: რომ წარმოართა და კომუნისტურ პარტიიდან გაუსვლილად შეიქმნა „უპარტიოთა“ ოცი თუ ოცდახუთჯერანი „ბრავდა“, რომელსაც არჩევნებში უნდა მიეღობ მინაწილობა. იმ „ბრავდაში“ დღევანდელი „დიქტატორის“ მფინააღმდეგე რამდენიმე ხელისმომწერთაგანაც შეიძლება, მათ შორის მწერლებიც, ის მწერლებიც, რომლებიც ხან კონკრეტულად დაბარდნენ, ხან „უპარტიო“, ვითომ „ნეიტრალური“ კაცის პოზიცია დაიჭირეს.

ბატონებო! ჩემს ნაცნობებს და კოლეგებს სახალხო ფრონტის პირველი ყრილობაც უნდა მოგვარონ. მაშინ მე და ზოგიერთი თქვენთაგანი იმ ყრილობაზე ერთად ვისხებილი... ხომ განსოვთ, თქვენ არც მაშინ მოაწონდათ თქვენთვის უჩვეულო განწყობილებით აღსავსე დარბაზი, ხოლო ბატონი ნოდარის სახით, თქვენს წარმოდგენაში უკვე იკვეთებოდა მომავალი „დიქტატორი“. ზოგიერთი თქვენთაგანი და თქვენი მეგობარი არ იყო, ტრიბუნდის ალფოთებით რომ გაიძახოდა, მე-შინა ჩემი ხალხისა, ასეთი შიში ჩერ არ მიგვრჩენია?! ზოგიერთი თქვენთაგანი და თქვენი მეგობარი არ იყო, წარამართა რომ მითხრობდა „არაფორმალური“ მოვიდნენო, ხოლო როდესაც მართლა მოვიდნენ და დარბაზი ერთსულად გადამიქცა, ერთი აზრით განიმსქველა და დამოუხტა, კუკუში აღარ დაუჯდა, ჩვენ აქ არაფორმალთა საზოგადოებას ხომ არ ვქმნიით, ნაწყენად განაცხადა და გაერთიანებული დარბაზი დატოვა? — ჩვენ არ გვეპირდება ბრძოლის ველიდან გაქცეული გენერლები, — იყურება ერთმა გოგონამ, როდესაც დაინახა როგორ ხსნიდნენ თავიან-

კანდიდატურებს „ერთიანობის“ მისუტრე ცნობილი მოღვაწენი. ზოგიერთი თქვენთაგანი მაშინ სწორედ ბატონი ნოდარის რეკომენდაციითა და ნებით აგირჩიათ ხალხმა სახალხო ფრონტის გამგეობაში, ხოლო შემდეგ რატომღაც კონკრეტულ რიგებში შებრძანებდა არჩიეთ, რათა, ალბათ, „აქტიურად“ გებრძოლით მომავალი ახალი „დიქტატურის“ წინააღმდეგ. (3მ, როდენი „შორსმჭვრეტელობა“, ღმერთანი)!

ბატონებო! თქვენ წერთ, „ბოლშევიკებიც „პროლეტარიატის დიქტატურას“ უწოდებდნენ ვითომც უმრავლესობის ბატონობას უმცირესობაზე და კარგად მოგახსენებთ, რადღეში ჩაავდო სწორედ უმრავლესობაო“. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში, ზოგიერთი თქვენთაგანი იმ ბოლშევიკური იდეოლოგიის ფუნქციონირ ბრძანდებოდა, მაგრამ განა აზრად მოგვსვლია თქვენთვის ხმა მალა „პროლეტარიატის დიქტატურას“ უწოდებდნენ ვითომც უმრავლესობის ბატონობას უმცირესობაზე და კარგად მოგახსენებთ, რადღეში ჩაავდო სწორედ უმრავლესობაო“. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში, ზოგიერთი თქვენთაგანი იმ ბოლშევიკური იდეოლოგიის ფუნქციონირ ბრძანდებოდა, მაგრამ განა აზრად მოგვსვლია თქვენთვის ხმა მალა „პროლეტარიატის დიქტატურას“ უწოდებდნენ ვითომც უმრავლესობის ბატონობას უმცირესობაზე და კარგად მოგახსენებთ, რადღეში ჩაავდო სწორედ უმრავლესობაო“.

მსახური გვეწოდებინა? საოცარია, დღეს ბოლშევიკური იდეოლოგიის მძაგბული და მაქეხარი გვერდგვერდ რომ აღმოჩნდით და ერთნაირად დაიბრუნებთ „განსხვავებული აზრის“ ჩამხშობთა წინააღმდეგ, ამასთან დაკავშირებით ვაგანსენებთ ერთ ადგილს „სახაბებიდან“: — „ხოლო ჰეროდენი თავისი მეომრებში იყო შეურაცხველი იესო და მასხრად აიგდო იგი, და შემოსა ბრწყინვალე სამოსი და უკანვე გაუწვავა პილატოს... და იმ დღეს დამეგობრდნენ პილატე და მეროდე ვინაიდან მანამდე ერთმანეთს მტრობდნენ“... (ლუკა. 23).

თქვენი არ ვიცი და მე ეს სტრიქონები ბევრ რასმე საგულსხმოს მეუბნება. აბა, გადახედეთ თქვენს ავტოგრაფებს, წუთუ ყველას ასე ერთსულთვანდ გიყვართ ერთმანეთს და ერთნაირად ხართ ამხედრებულნი მოსალოდნელი „დიქტატურის“ საშიშროების წინააღმდეგ.

ერთი რამეც უნდა ვთქვა. ეროვნული მოძრაობის პერიოდში ზოგიერთი თქვენთაგანის არამტულ ხელმძღვრეა, არსებობს იმანსწყალიც არ შეიძნეოდა, მაშ, რა მოხდა, რა ჩაიდინა ისეთი, რა კანონები შემოიღო ეროვნულმა პარლამენტმა, რომ მინიცილიზმის ახლა „გამოფხიზლდნენ“ და პირდაპირ „განსხვავებული აზრით“ დაიწყეთ შეტევა.

ლოს სიყვარულზე. თქვენ არ გინდათ ილიაო, თორემ ასე, დღესაც გრძელდება „მონოპოლისტობა“ სამშობლოს სიყვარულზე.

ბატონებო! თქვენ წერთ, ვერც ჩვენ მივეცემთ თავს უფლებას ხალხის სახელით ვილაპარაკოთ, თუმცა იქვე არღვევთ ამ პირობას და მოწოდებით მიმართავთ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, ქვეტრატებში ბრალად სდებთ „საზოგადოების გათიშულობას“ და ეროვნული მოძრაობის დაღუპვის პირამდე მიყვანას.

ჯერ მინდა გკითხოთ, თუ ხალხის სახელით არ ლაპარაკობთ და არც ვინმეს უფლებებია, მაშინ რატომ გვთინათ რომ მაინცდამაინც თქვენი „განსხვავებული აზრი“ და მოთხოვნები მისაღები ხალხისთვის და არა, ვთქვით, ჩემი, ანდა ჩემი მომხრეებისა, ან რატომ გვთინათ რომ მაინცდამაინც „აუცილებელია მოხდეს უხუნაესი საბჭოს ყოველი სხდომის სრული ტრანსლაცია“ (რა თქმა უნდა საქართველოს ტელევიზიითა და რადიოთ). ზოგიერთს სულაც არ მაინია აუცილებლად გორბაჩოვის მოდის მიხედვით შემოღებული სხდომების გადაცემა მთელი დღის განმავლობაში, თუ ამას მართლა აუცილებელია არ მოითხოვს.

არც მე, არც ჩემი მეგობრებს, არც თქვენ, არც თქვენს მეგობრებს, წლობით გამოცდილ და ნამდვილად დემოკრატიულ წესით გამოყარებულ საზოგადოებაში არ გვეცხოვრება, ყველანი საბჭოთა კავშირის მოქალაქეები ვიყავით, მაშ, საიდან იცით, რომელი გამოცდილებიდან, რომელი პრაქტიკის ძალით, რომ მხოლოდ თქვენი მოთხოვნილებების და სურვილების დაქვემდებარებას ვხა ახლავთ კრატისკენ! გზა ეროვნული თანხმობისკენ! გზა თავისუფლებისკენ! ბატონო ხელისმომწერო!

„საქართველოს მტრები აკლია?“ ნუთუ ვერ ამხნევთ, როგორ „თანდათანობით ხედავთ“ მკითხველის და მკითხველის სმენას, თითქოს გარშემო მხოლოდ დიქტატორობა და დიქტატურა ბატონობს. ასე მართლაც „ბოლშევიკები ეძებდნენ“ ახლად დამყარებულ, დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობაში, რომ ხალხსა და „მუშურ-გლეხური“ პარტიის ინტერესების დამორგუნველი მოწინააღმდეგეები აღმოჩნდნენ. ამას წინაა, ერთი კომუნისტური პროფესორი გაცხარებით გვეტყვდა, პარლამენტში მუშათა და გლეხთა წარმომადგენლები არ არიანო, კამბოლისტურ წყობილებას ამყარებდა, ჩვენნი მოსაოვარი და მონაგარი გაანაგვისო. ძალზე სამწუხაროდ, მაგრამ თქვენდაუნებურად, იგივეს იმეორებთ, ბატონებო! ვინმე პროფკავციული ანკესი რომ ისრთლოს, შეიძლება იმ შეანკესითა მხარდამჭერებში თქვენი წერილიც იგულსხმოს. ადგება და იტყვის აგერ, ქართველნი საქართველს ეძახიან ერთმანეთს დიქტატორებს, ჩვენ რა შუაში ვართ, ეროვნული ხსნის კომიტეტი“ თვითონ შექმნესო.

თქვენ და თქვენს მეგობრებს ხშირად გაუფოთებთ ისეთი ეპითეტები, როგორცაა „ერის მოლატე“ და „კრემლის აგენტი“. სამწუხაროდ, თქვენ მხოლოდ ერთ მხარეს იყურებით და ერთი მხარის დამოძღვრას არჩევთ, ვისი პოზიცია და პოლიტიკაც არ მოგწონთ, მხოლოდ მის განსაქიებლად იმარჯვებთ კალამს, ვითომ შემრიგებლად, მიმტვევლად, შემწყნარებლად, დემოკრატიკისტიანად გვევლინებით, სინამდვილეში კი გამოიშველბას ემსახურებით. ზოგი ხმლით იბრძვის, ზოგი სიტყვით. თქვენ სიტყვით გვებრძობ, ბატონებო! თქვენს შორის ბევრია ისეთი, ხალხმა მის მიმართ ნდობა რომ დაკარგა, დაკარგა სწორედ თავისი არამყარი პოზიციის, ავსიტყვების და ინერტულობის წყალობით ზოგიერთ ჩვენს მოღვაწეს მინაწია, რომ არ უნდა დამტყუდებდნენ აქტიურ მონაწილეობის მიმდინარე მოვლენებში და მხოლოდ მაგიდასთან უნდა გამოხატოს თავისი სათქმელი. მაგიდასთან ქდომას რა ჯობია, ბატონებო, მაგრამ მაგიდასთან ქდომით რომ ვმყოფილდებოდეთ, რა გვიშავს? ამ



# ამერიკის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ იმედება

ახლანდელ ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნდა საქართველოს სამთავრობო დელეგაცია, რომლის წევრები ეწვივნენ ვაშინგტონის თითქმის ყველა ინსტიტუტს, დაწინებულებს, ვისაც რამდენიმე მაინც აინტერესებს აღმოსავლეთ ევროპა და კერძოდ, საბჭოთა კავშირი.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს უწყებები საბჭოთა საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ტილმან ბაბტაშვილს ესაუბრა ჩვენი ტაშის კორესპონდენტი თამარ ცეცაძე.

როგორ აფასებენ ამერიკაში კრემლის ბოლოდროინდელ ინიციატივებს?

ამერიკელ პოლიტოლოგებს მიუხედავად, რომ 17 მარტის რეფერენდუმში არის ფანდი, რათა სამხრეთ-დასავლეთის რეგიონში შეიქმნას განსხვავებული იმპერიის არსებობა. ეს კი, თავისთავად დიდ საფრთხეს უქმნის იმ რესპუბლიკებს, რომლებიც უარს ამბობენ სამოკავშირეო ხელშეკრულების დადგენაზე.

საუბარი იყო პუგოს, იაზოვისა და გორბაჩოვის მიერ შემუშავებულ ყველაზე ახალი ცნობილი ბრძანებულებების ერთობლივი პარალელური შესახებ, რომლის მოქმედებაც ჩვენს ტერიტორიაზე შეჩერებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ.

ამერიკელი სახელმწიფო მხელეები განსაკუთრებით დაინტერესდნენ გორბაჩოვის ბრძანებულებით, რომელიც საგანგებოდ ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს ერთობლივ საწარმოებთან მიმართებაში.

ამ ბრძანებულების თანახმად, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს უფლება ექვსეული შეამოწმონ ბანკები, წარმოებების არა მხოლოდ ნებისმიერი სახის ერთობლივი ანგარიშები, არამედ ერთობლივ საწარმოებში მომუშავე პირთა ბიუჯეტში არსებული დოკუმენტაცია თუ თანხები. სახელმწიფოს მიერ ამგვარი მოქმედება პიროვნების უფლებათა აშკარა ხელყოფაა.

ახლა, ამ ბრძანებულების გაცემის შემდეგ, ამერიკაში დაინტერესებული საქმიანი წრეების წარ-

მომადგენლებიც კი უნდობლობას იჩენენ საბჭოთა კავშირის მიმართ.

აქვე იყო განხილული ფულის ცნობილი რეფორმა, უფრო ზუსტად — ექსპროპრიაცია, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ განხორციელდა საბჭოთა კავშირში.

იმ უაქტმა, რომ სხვა რესპუბლიკებისგან განსხვავებით, საქართველოს მთავრობა ახერხებს თავისი შიდა პოლიტიკური პროცესების რეგულირებას, ცენტრის მხრიდან ასეთი ხელისშემშლელი პოლიტიკის მიუხედავად, უფრო მეტად გაზარდა ინტერესი საქართველოს მიმართ.

ცნობილია, რომ უახლოეს მომავალში სეცატე მოსმენის საქართველოს საკითხს, იმჟღერებს მისი მდგომარეობისა და საბჭოთა ხის შესახებ. პოლიტიკური თვალსაზრისით ეს უდადესი მნიშვნელობის ფაქტია. საინტერესოა, ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური შეხვედრებზე მიიჩნევენ თუ არა, საქართველოს ცალკე გეოგრაფიულ ერთეულად?

ჩვენი შეხვედრების დროს ნათლად გამოჩნდა, რომ აღინიშნა რაკიის, საკანონმდებლო ორგანოების და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებს ძველი წარმოდგენებისაგან სრულიად განსხვავებული, ახლებური დოკუმენტაცია აქვთ საქართველოსადმი და არა მხოლოდ საქართველოსადმი, არამედ საერთოდ საბჭოთა კავშირში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ.

სახელმწიფო დეპარტამენტში გამართული რამდენიმე შეხვედრა გა-

რკვეული სიმამრით გამოირჩეოდა. შეხვედრით კურტის კამანს (ამერიკის სახელმწიფო მდივნის, ბეიკერის მოადგილის ასისტენტი), ზილოუს (ბეიკერის ერთ-ერთი მოადგილე), რობარდ შიფტერს (ამერიკის დეპარტამენტის პუბლიცისტული საკითხთა და აღმზრდის უფლებათა დაცვის განყოფილების უფროსი). იგი საკმაოდ დეტალურად არის გარკვეული საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.

ამ შეხვედრაზე გაცივანი ჩვენს მიმართ გამოჩნდა ყურადღებებიანი, ცნობილი მოდერნი, იგორ ბელოუსოვი იგი წლების მანძილზე მუშაობდა მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში. ადრე მასთან ახლო კონტაქტი ჰქონდა ბატონ ზვიად გამსახურდიას.

ბელოუსოვი ამჟამად მუშაობს ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტში საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ ევროპის საკითხთა პოლიტიკურ განყოფილებაში. გვქონდა შეხვედრა ამ განყოფილების თანამშრომლებთან, საუბარი ორ საათს გაგრძელდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგორ ბელოუსოვი თანაგრძნობად ჩვენსა და მისი იდეებს შორის. ჩვენსა და მისი იდეებს შორის, ის არცაღ იცნობს საქართველოს პრობლემებს, რომელიც შეხვედრაზე ახალი კუთხით წარმოაჩინა.

დეპარტამენტში დასმული საკითხები ძირითადად ეხებოდა საქართველოში ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს პოზიციის საბჭოთა იმპერიის მიმართ.

ბატონო თედო, ეს ის ბელოუსოვი ხომ არ არის, რომლის საბჭოთა კავშირთან დაკავშირებას წინააღმდეგობას უწევს?

დიახ, სწორედ ის ბელოუსოვი არის. ბატონ ზვიად გამსახურდიას დაბრუნების დროს რომ თქვითობდა, სასაქლოა მისი ამ თემაზე წარმოჩენა.

ბუნებრივია, ბატონ იგორს პირდაპირად არ ვიკითხო. მას პირდაპირად ამერიკის წერილებზე შტაბში შეჩვეული. თავიდანვე გამაყარა მისმა განსაკუთრებულმა სურათებმა და სიტომ ჩვენსადმი. ხოლო შემდეგ, როდესაც მან ბარათი გადასცა ბატონ ზვიად გამსახურდიასთვის და ამხნა თუ ვინ იყო და საიდან იცნობდა ბატონ ზვიადს, ჩვენთვის ყველაფერი ნათელი გახდა. როგორც თავად მითხრა, მას საუკეთესო მოგონებები აქვს ბატონ ზვიადთან, საერთოდ საქართველოსთან. ი. ბელოუსოვისი დიდი სურვილია ვსტუმროს საქართველოს.

გაზაფხულზე საქართველოში ჩანოვა სენატორთა და კონგრესმენთა წარმომადგენლობითი ჯგუფი. ეს მეტ სიცხადეს შეიტანს ჩვენს ურთიერთობებში საერთოდ, ამერიკის კონგრესის დამოკიდებულება საქართველოსადმი მეტად დადებითად იქნება.

Bruno FANUCCHI

le Parisien

Avec ses compliments

25, Avenue Richelet - 93400 Stouen

tel : 40-10-30-30.

საქართველოში რამდენიმე დღის მანძილზე იმყოფებოდა პოპულარული ფრანგული გაზეთის Le Parisien-ის უცხოეთის პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელი ბატონი ბრუნო ფანუჩი. ჩვენს კორესპონდენტმა, ირმა ჩხეიძემ, რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

ბატონო ბრუნო, გაზეთმა მოგვლინა, თუ თქვენი სურვილით ჩამოხმადნით საქართველოში?

ეს მე შევთავაზე მათ საქართველოში რეპორტაჟის გაკეთება. იმიტომ, რომ რეფერენდუმის წინ, რომელსაც აწყობს საბჭოთა კავშირი, მინდობა მენახა ერთი ისეთი რესპუბლიკა, რომელიც ბოიკოტს უტყობს ამ რეფერენდუმს და ამავე დროს, უკვე ჩაატარა თავისი რეფერენდუმი, ასეთია ლიტვა; და მეორე რესპუბლიკა — საქართველო, რომელიც საკუთარ რეფერენდუმს საბჭოთა რეფერენდუმის შემდეგ ატარებს.

რა შთაბეჭდილება შეგიქმნათ საქართველოში პოლიტიკური ვითარების შესახებ?

კერძო პიროვნებას თუ პოლიტიკოსს, ვისაც მე შეხვედრი, აქვს მინდობა, რომ რეფერენდუმის სწრაფად დამოუკიდებლობისაკენ და სხვათა შორის, რაც ძალიან მომეწონა, ესაა მათი რეალისტური ხედვა. საქართველოში მშვენივრად გრძობავენ რომ, უნდათ თუ არ უნდათ, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არიან და რომ ბრძოლის გზა დამოუკიდებლობისაკენ ჯერ არ არის დასრულებული.

აღმათ შიდა ქართლის პრობლემის შესახებ არ მიაწოდებთ კითხვებზე ინფორმაციას, რადგან ეს სხვა რეპორტაჟის თემაა, მაგრამ რა შთაბეჭდილება მიგვცხადებთ საქართველოდან, როგორ გგონია, იმავრთიან ქართველებისგან ოსები?

სულაც არ გამჩინა ფიქრი ჩართვილობისგან ოსების ჩაგვრის შესახებ. საქართველოში დასახლებულ და მიხედობს, რომ ცალკე რესპუბლიკა — ოსეთი, აბსურდია, რომ ასეთი რესპუბლიკა არ არსებობს. მე შიდა ქართლში არ გყოლივარ და უფრო კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი.

დაახლოებით თუ გავთვ წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ შეიქმნა საქართველოში ე. წ. წინათის ავტონომიური ოლქი, ვინ არიან ოსები და როგორ გაჩნდა

მათი დასახლებები საქართველოში?

მე აქ ვაგარკვე, ვინ არიან ოსები, ვინ აფხაზები, რა სხვაობაა მათ შორის, რით განსხვავდება მათი პოლიტიკური პრობლემები.

საქართველოს გარკვეულ წრეებში ასეთი აზრია შექმნილი: პრესის, საერთოდ ინფორმაციის საშუალებების დემოკრატიკალიზაციის შემდეგ, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება გამოვიდეს ტელევიზიით და თავისი აზრი გამოთქვას, როდესაც ამის საშუალება არ ეძლევათ, აღწვთებულები და ვიურაცხუფილები არიან. რა ვითარებაა ამ შხრიც საფრანგეთში?

შემიძლია დაბეჭდვით ვითხარათ, რომ პრესისა და სიტყვის ტოტალური თავისუფლება არ არსებობს საფრანგეთში. ხელისუფლება სხვადასხვა მეთოდით ყოველთვის ერევა აზრის წარმართვას.

ჩვენთან კი, ვთქვათ პარლამენტის გაზეთის მიმართ ყველას აქვს პრეტენზია, განსაკუთრებით იმ პარტიებს, რომლებიც პარლამენტში არ არიან, ნებისმიერი წერილი თუ განცხადება სწორედ პარლამენტის ოფიციალურ გაზეთში იქნას გამოქვეყნებული და რაც ყველაზე მთავარია, ასეთი განცხადებები ქვეყნდება, მაგრამ დემოკრატიის დარღვევად იმას იჩინებენ, რომ გაზეთი ასეთ შემთხვევაში თავის პოზიციას გამოხატავს ცემენტარის სახით...

პარლამენტის გაზეთში ნორმალიურ სიტუაციაში უნდა იბეჭდოს მათი სტატიები მხოლოდ პარლამენტის მუშაობის ირაჯლივ. მაგრამ მე არ მიკვირს, რომ ადგილი აქვს ასეთ შეფერხებებს, რადგან სამოცდაათი წლის მანძილზე საქართველო იყო კომუნისმის მონობის ქვეშ და ამიტომ ბევრი შეცდომა გექნებოდა, მანამ, სანამ მიხვალთ, ნამდვილ და არა მოგონილ დემოკრატიამდე. ეს დრო კი თავისთავად მოვა.

# ღია ფარილი

(დასასრული)

სამიოდე წლის განმავლობაში რატომღაც თქვენ მხოლოდ მაშინ მოწყვდებოდით ხოლმე მაგალითს, როდესაც ვილა-ვილა ცილისწამებას და შეურაცხყოფას გაამძაფრებდნენ იმ აღმზრდელის მიმართ, რომლებიც მართლა აქტიურად იბრძოდნენ და იბრძვიან საქართველოს თავისუფლებისთვის, რომლებიც ყოველგვარი ამბიციურობისა და ანგარების გარეშე იღვწოდნენ და იღვწიან საქართველოს თავისუფლებისათვის, რომელთა დიდი უმრავლესობაც ხალხის მიერ უხედავს საბჭოთა არჩეული და რომლებიც დღეს მოწინავედ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

თქვენ, უმცირესობას, საკუთარი თავი უფრო მოაწონს, ვიდრე ის ხალხი, ვინც ამ მოძრაობას ემსახურება. თქვენ და თქვენსთანების ჩარევით მოხდა ეროვნული მოძრაობის გათიშვა. თქვენ მოახერხეთ წერილის შემდგენელს მიე-

მართავ, ეროვნულ მოწრაობაში თქვენი ამბიციური და ქედმაღლური სულის შეტანა, პარტიოკრატურა, ამპარტანობა. ვან-ზეიდედა უდევს საფუძვლად თქვენს მიერ წარმოდგენილი პრეტენზიული წერილის დაბეჭდვას. თქვენთვის, ამ წერილის დამწერო, სულ ერთია, აკაცი ბაქრაძე, ნოდარ ნათაძე, ზვიად გამსახურდიაც, ის ახალგაზრდებიც, ახლა გვერდით რომ მიეტმასნეთ, თქვენს თვალწინ გაიხსნოდა მათი ლანძღვა-გინება, მაგრამ ამ ლანძღვა-გინებისთვის ხელისშემწყობის მეტი არაფერი გაგივითვითათ.

თქვენი წერილი ძალზე საინფათო დემაგოგია, ბატონებო! თქვენი წერილი ემსახურება იმ აზრის გაბატონებას, რომელსაც დღეს მსოფლიოს გასაფრთხად გააყვირიან ილა-ვილა ცილები, რომ თურმე საქართველო „სახელისწერო დიქტატურის საფრთხის წინაშეა“ და განმეითხავი არავინ ჩანს. სასაცილოა, დემტმანი, შინაური მტრები პატარა საქართველოს საფრთხობ-

ელად რომ სახვევ მსოფლიოს თვალში.

„რის ორგანიზებას“ ამირებს ჩვენი პრესა — ავტორიტარული მმართველობის, საზოგადოების ურთიერთდაპირისპირების თუ ეროვნული თანხმობისა? — კითხულობთ თქვენ და თან ცდილობთ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას „აზრთა პლურალიზმისთვის საინფორმაციო არხების დახმობის“ შესახებ „ხმა მიაწვდინოთ“...

დღეს ჩვენს რესპუბლიკას ჰელსინკის კავშირის დამაარსებელი ხელმძღვანელობს. ნუთუ ეს არაფერს გვეუბნება, რომ უნდა ვახორციელებდეთ აღმზრდის უფლებათა დაცვის მე-19 მუხლის მონთონებას, რომელიც გამოიცხადეს ხელისუფლებისაკენ განსხვავებული აზრის გამო დევნას, — აღწვთებით გამოთქვამთ ჩვენს „განსხვავებულ აზრს“ საპროტესტო განცხადებაში.

სიმართლეს ბრძანებთ, ბატონებო!

ჩვენს რესპუბლიკას არა მარტო ჰელსინკის კავშირის დამაარსებელი, არამედ პოეტ, მთარგმნელი, ბრწყინვალე ესეისტი და მამული-შვილი ხელმძღვანელობს (ქობდა აქედან დაგეწყით), ამიტომ მინდა დაგამშვიდოთ. დღეს სწორედ მე-19 მუხლი „ხორციელდება“ პირნალოდ, გადახედეთ ხელისმომწერებს და ჰკითხეთ ერთმანეთს, ასე თავგამოვებით რომ მფარველობს ზოგიერთი „დევნილი“ აზრებს, რატომ იმაზე არაფერს ამბობს, ამას წინათ ერთ შეკრებაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ლამის დაუსწრებლად რომ დააპატიმრა „უმცირესობის“ ლაშქარმა.

თქვენ ვითომ ვერ ამჩნევთ, თორემ გადახედეთ პრესას და დარწმუნდებით, რამდენი კრიტიკული, განსხვავებული აზრი იბეჭდება უზენაესი საბჭოს მისამართით, თქვენს შორისაც უხვად არიან ამგვარი პუბლიცისტები. მეტი როგორი განსხვავებული გინდათ, მანცდამანც ისეთი უხამსობა უნდა ბეჭდოთ, როგორც ამას კომუნისტების ცნობილი გაზეთი სჩადის?

ბატონებო!

წერილის დასასრულს აწინდა გითხარათ, რომ თითოეული თქვენთაგანის მიმართ პიროვნულად არაერთი მტრობა და შუღლი არ გა-

მოძრავებს, ჩემი პასუხიც მხოლოდ თქვენდამი კეთილგანწყობასა და პატარისციუმზეა დამყარებული, ოღონდ საფუძვლად დიდი გულსიტყვილი უდევს. თქვენც მშვენივრად მოგვსვენებათ, რომ საქართველოში არავითარი დიქტატურა არ არსებობს.

იმ პერიოდში, როდესაც ქვეყანა ომობს, როდესაც ცილობს საერთაშორისო ასპარეზზე იურიული ძალა მოიპოვოს, როდესაც ცილობს სამართლებრივი ნორმების მიხედვით სახელმწიფოებრივი უფლება აღიღვინოს და ამ დროს ხელშეწყობის მაგიერ დიქტატურის ძიხილი ლანძღვა-გინება, შეურაცხყოფა, ცილისწამება, მანტაჟი, პოლიტიკური დამტების მიეგრება“ და მუქარა გრძილდება. კანონით კი არავინ ისჯება და ამას თქვენ მინც დიქტატურას უწოდებთ, მაშინ რაღა ვთქვათ ბატონებო, გარდა იმისა, რომ დაგეთანხმობთ.

დიქტატურა მართლაც არსებობს უმცირესობა-მმართველთა მხრიდან. თუ უზენაეს საბჭოს დაიხმარებთ და ამ დიქტატს მოსმობთ, მაშინ თქვენი მოთხოვნებიც თავისთავად მოიხსნება.



# მირიანი

„პართლის ცხოვრების“ მიხედვით, ფარნავაზისა და დინასტიის უკანასკნელი მეფის, ასფაგურის გარდაცვალების შემდეგ, ქართლში სპარსული უფლისწული მირიანი (მირიან III) გამეფდა (ისტორიკოსები ცნობა მირიანის სპარსული წარმომავლობის შესახებ სარწმუნოდ არ მიაჩნიათ, რადგან მირიანი დასახელებულია პირველი სასანიდო შაჰის, ე. ი. არდაშირის (224-241 წ.) შვილად, რაც სრულად გამორიცხავს. გამოდის, რომ მირიანი უნდა გამეფებულიყო 251-263 წლებში (გარდაიცვალა 342 წ.), მაგრამ მეცნიერთა ვარაუდით, მირიანი დასახელებულია 296-297 წლებში გამეფდა. სავსე ისაა, რომ „პართლის ცხოვრების“ მონაცემები III-IV ს. ირანის მეფეების შესახებ (სახელე-ბი, მეფობის ხანგრძლივობა და სხვ.) არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. გაუგებარია, აგრეთვე, რატომ დაიფიქრა სპარსულმა უფლისწულმა ყოველივე სპარსული, განსაკუთრებით მოყვარული და მოსაძვლო, სავარაუდოდ, გადმოცემა მირიანის სპარსული წარმომავლობის შესახებ, გამოწვეულია სურვილით, მას განსაკუთრებით ძლიერმოხილო წინაპრები მოეძებნოს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲსი“ მტკიცებით მირიანის წამად დასახელებულია ქართლის მეფე ლევი, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ საერთოდ არ იხსენიება, მაგრამ აღსანიშნავია შემდეგი — ორივე მტკიცებაში მირიანის ვაჟს რევი ჰქვია. გამოთქმულია მოსაზრება — „ლევი“ „რევის“ ვარიანტული და დამატებითი ფორმაა, ხოლო თუ გავისწავლით ტრადიციას, რომლის თანახმადაც შვილი შვილს პაპის სახელს არქმევენ, მაშინ რევი, რომ მირიანის მამა ქართლის მეფე ლევი იყო, საკმაოდ დაწვერებულია იქნება.

მეფეთ „ქართლის ცხოვრებას“. ერისთავების თხოვნით სპარსეთის მეფემ 7 წლის მირიანს ასფაგურის ქალიშვილი შერთო ცოლად და „დასვა მეფედ მცხეთას, და მისცა ქართლი, სომხეთი, რანი, მოვანი და ერეთი“. სპარსეთის მეფემ დედამისი მირიანთან არ დატოვა, „რამეთუ უწყებდა დედა მირიანის, ვითარცა თავი თულის, არამედ დაუტევა მამამთქმულ და განმგებლად წარჩინებული ერთი, რომელსა ერქვა მარვანოზ“. ერისთავებისადმი მოქმედი პირობის თანახმად, სპარსეთის მეფემ ქართლში გარი არ შემოიყვანა, 40 000 მხედარი „დასხნა ჰერეთს და მოვკანს და სომხეთს“. მხოლოდ მცხეთაში ჩააყენა მირიანის მცველებად 7 ათასი რჩეული მეომარი, „ხოლო სხუა სიმრავლე სპარსთა არა იყო ქუეყანასა შინა თანაღორეულად“.

სამად მირიანი გაზრდებოდა, ქვეყანას მარვანოზი მართავდა, „მატა ყოველთა სიმავრეთა ქართლისთა და უმეტეს ყოველთა სომხეთისთა

ციცა ზღუდენი ნეკრეს ქალაქსა“. პირობის თანახმად, მირიანს ორი რჯულის — სპარსული ცეცხლსახურებისა და ქართული კრებების — სიყვარულს უნერგავდნენ, მაგრამ მან „შეიყვარა ქართველი და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავლა ენა ქართული. მატა შემოკმა ქართლსა და ბომონთა. კეთილად იყარნა ჭურჭენი კერპანი, და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებას კერპანსა, და შემოკო საფლავი ფარნავაზისი. ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათვის ქნა. კეთილად იყარა ქართველის ნიჭითა და ყოველთა დიდებითა და შეიყუარეს იგი ყოველთა ქართველთა უმეტეს ყოველთა მეფეთსა და მეფობდა მირიან მცხეთით გაომართ ქართლს, სომხეთს, რანს, ერეთს, მოვკანს და ეგრას“.

როდესაც მირიანი 15 წლისა შესრულდა, ცოლი გარდაეცვალა. ასფაგურის ქალიშვილის სიკვდილით „ამოსწყდა მეფობა და დედოფლობა ქართლსა შინა ფარნავაზისთა მეფეთა. შემუშნა ეს ყოველი ქართველი სიკუდილსა ზედა დედოფლისა მითხროსა, არამედ დაადგარეს ერთობასა ზედა მირიანისასა, არცა ძალ ეღვა, არცა ვინ იყო ფარნავაზისათა ნათესავი, რომელ ღირს იყო მეფედ და მეფობდაცა მეფობა მირიანისი“.

დაქვრივებულმა მირიანმა „მატა კეთილსა ქართველთასა“ და „მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, პონტოთ, ასული ოლიდოტოსისი, სახელით ნანა“.

შემდეგ შემტყვევებულმა მირიანმა, რომ მირიანს ხაზარებთან გაუთავებელი ომი ჰქონდა, „მარადის ბრძოლის“. გადარეკვდა მირიანი ხაზარებს კავკასიონის იქით, ისინი „ჰლავ ბრუნდებოდნენ“. და უფროსი ლაშქრობა მისი იყვნენ დარუბანდს, რამეთუ მოვიდინა ხაზარნი და მოადგინა დარუბანდს... და მუნთი იწყეს გასულად სპარსთა ზედა. ჩოლო ოდეს მოვიდინა ხაზარნი დარუბანდს, წავიდნენ მირიან შუელად დარუბანდისა და ოდესმე უომრად მირიდიან ხაზართა, და ოდესმე ბრძოლითა აოტნის“.

როდესაც მირიანი 40 წლისა შესრულდა, მამამისი, სპარსეთის მეფე, გარდაიცვალა. ირანის მეფედ მარტამი, მირიანის უმცროსი ძმა დაჯდა. მირიანმა ეს რომ გაიგო, ლაშქარი შეკრიბა და სპარსეთში შეიჭრა. ბარტამაც „შეკრიბნა სპანი ურიცხვნი და მიეგება ბრძოლად“, მაგრამ ბრძოლა არ გამართულა, სპარსული უხუცესები და მარტამი მძიმე შორის ჩადგნენ „მოციქულად და ბეჭედ“. მირიანმა გახუცდა, რომ სპარსეთის სამეფო ტახტი მას ეკუთვნოდა, რადგან უფროსი ძე იყო მეფისა და, აგრეთვე, საკუთარი სისხლის ფასად იცავდა სპარსეთს ხაზარებისაგან. ბარტამა კი თქვა, რომ მირიანი

მხევალის ნაშობია „და ნაშობსა მხევალისასა ეყოფა სულ, რომელ მას მიხრომანი სამეფონი: მე ნაშობი ვარ ინდოთა მეფისა ასულისა“, და მას მეფობდა მამამ უინდერმა, „რამეთუ ხელთა მისითა დამადა გურიგუნი თავსა“. უხუცესებმა მეფობა ბარტამს დაუბრუნეს, სამეფოროდ მირიანს „გული სადებულად მისცეს ბარტამსგან ჯაზირეთი და შაჰის ნახევარი და აღარდაიქნენ“. მირიანი ქართლში გამობრუნდა, მაგრამ სპანამ მიაღწევდა, ქართლს ოსები შემოესივნენ. მირიანი გარესგარ გარდავიდა ოსებით და მოტყუებდა ოსები, და მოუწია „ქართლსა და მოუწია და მოვიდა შინა“. გავიდა რამდენიმე წელი, ხაზარები კვლავ შეტევაზე გადმოვიდნენ, მირიანი დარუბანდს გაემართა, მაგრამ ამ დროს რომსა და ირანს შორის ომი დაიწყო. სომხეთის მეფე თრდატს „კეთილად მისცა სპანი და გამოგზავნა სომხეთს მამულსა თუისსა. შემოვიდნენ და გამოასხნეს ერისთავნი მირიანი და ირანის მოკავშირე ქართლსა და რომის მოკავშირე სომხეთს შორის დაიწყო ბრძოლა, „და ესრეთ დაუცხრომლად იყვის შფოთი მათ შორის“. მალე ირანში გამეფდა მირიანის ძმისწული, რომელსაც შეუთვალა, „რათა შეეკრებოდ, ვარდავლოთ სომხეთი და შევიდოდ საბერძნეთში“. მართლაც, შეკრიბეს ურიცხვი ლაშქარი, „წარტყუნეს სომხეთი და შევიდნენ საბერძნეთით და ვერ წინაღობდა მათ ბერძენთა მეფე კონსტანტინე და შთავარდა მწყობარება შინა და იწყეს მოტყუებნად საბერძნეთისა“. განსაკუთრებით ჩავარდნილი კონსტანტინე მოინათლოა, „წარმოდებდა საზე ჭუარისა, იწყო სპანთა მათ ურიცხვითა სპითა მცირითა და ძალითა ქრისტესითა აოტა ბანაკი მათი და მოსრა სიმრავლე მათი“. დამარცხებული მირიანი ქართლში დაბრუნდა, კონსტანტინეს მოციქული გაუგზავნა, ითხოვნა მშვიდობა, აღუთქვა მისი ხურება და სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა. კონსტანტინემ მირიანს წინადადება სიხარულით მიიღო, მირიანის შვილი ბაქარი მძევლად წაიყვანა, მირიანი და თრდატს შეაბრუნა, დაამოყვრა, მირიანს მხოლოდ შვილს, რეგს თრდატის ასული სელომე შეართო ცოლად. „მეფობდა მირიანი ქართლს, რანს, ერეთს და მოვკანს, და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრის წყლამდე“.

„მას ეამსა მოსულ იყო წმინდა და ნეტარი დედა ჩუენი და ემბაზი ნინო მცხეთას შინა და დაეყო სამი წელი, და განეცხადა ქება ქრისტესსა სჯულთსა, და იქმნა კურნებითა თუნებურ წამლისა; ხმამაღლად იყო ქებად სჯულთსა ქვეშაბრისა ქრისტეს ღმრთისასა“.

შემდეგ მატარებელ დაწვრილებითა მოთხრობილი წმინდა ნინოს ცხოვრება. მემატიანე აღნიშნავს, რომ მირიან მეფესა აქუნდა სურვილი ქრისტეს სჯულთსა, რამეთუ ასმიოდა სასწაული ქრისტეს სჯულთსა საბერძნეთით და სომხეთით. არა დააბრკოლებდა იგი ჯალაღობად ნინოს და მოწყვებთა მისთა, არამედ ებრძოდა ეშმაკს, მტერი და უჩინო, და ვერ დაამტკიცებდა აღსარებას ქრისტესსა, ხოლო ნანა დედოფალი გულფიცხელ იყო უმეტეს და შეურაცხა ჰყოფდა ჯალაღობას მას“.

მრავალი სასწაული მოახდინა წმინდა ნინომ მცხეთაში, მაგრამ მეფედ დედოფალი მიანც წარმოებდა რჩებოდნენ. ერთხელაც, დედოფალი ნანა მძიმედ დაავადდა, ვერავინ განეკურნა. როცა ყველა იმედი გადაეწყო, მოახსენეს, ტყვე ქალი ნინო ლოცვით ჰკურნავს სხეულს. დედოფალმა მისი მოყვანა ბრძანა, მაგრამ წმინდა ნინომ მეფის მსახურებს უთხრა, ნანა დედოფალი თვითონ მოსულიყო მისთან. მართლაც, დედოფალმა მიყვანა ნინა თავი წმინდა ნინოსთან. „იწყო წმინდამი ნინო ლოცვად და ვედრებდა ღმრთისა მიმართ ყოველგვარად და მოილო ჭუარი იგი, რომელი აქუნდა, შეახო თავსა მხარათა და ფერხთა ჭუარისა სახელ და მეყსულად განიკურნა და აღდა განცოცხლებული და რწმენა ქრისტეს და თქვა: „არა არს სხუა ღმრთი, თვითივე ქრისტესა, რომელსა ჯალაღობდა ტყვე ესე დედაკაცი“. შეიქნა ნანა დედოფალი მორწმუნე, წმინდა ნინოს მოწაფე და მეგობარი. დედოფალმა მირიანს მოუხურო თავისი სასწაულთბერი განკურნების შესახებ. „მაშინ მირიან მეფე განკურნდა და იწყო გამოძიებად სჯულთსა ქრისტესსა... და შეექმნა სურვილი ქრისტეს სჯულთსა“. მაგრამ მტერი იგი უჩინო მირიანს აფერებდა, აცთუნებდა, გასულს კურნებისა და ცეცხლის სასო-

ვებს უღვივებდა. მირიან მეფე არც მათინ მოქცევა, როდესაც წმინდა ნინომ მისი და დედოფლის თხოვნით განკურნა სიკვდილის პირას მყოფი „მოგული იგი მთავარი სპარსი, სახელით ზუარანელი“.

„რდეს ერთა ზაფხულთსა, თუ ესა იგნისსა ოცსა, დღესა შაბათსა მირიან მეფე მხლებლეთურით მურხანის სახაზებში სანადიროდ გავიდა. უცებ შეუნდა მირიანს „უჩინო იგი მტერი ეშმაკი“, ძალუქად გაუღვივა კერპებისა და ცეცხლის სიყვარული, აფიქრებდა ქრისტანების ამოწყვეტა. მირიანმა მხლებლებს თავისი განზრახვა გაუხილა, მათაც მოუწონეს. მეფე თანამზრახველებთან ერთად თბოთის მთაზე ავიდა, მოსულნი ღმრთი მუღ დაბნეული, „იქმნა ვითარცა დამე ბნელი, უკუნი და დაიპყრა ბნელად არენი და ადგოლი; და განიხნენ სურთიეთსა ქრისტისა და ურვისა“. მარტოდ დარჩენილი მირიანი შეშინდა, შეძრწუნდა, სასო წაერთვა, იესო ქრისტეს შეევედრა, „...იუ თუ ოდენ ჩემთვის არს ქროი ესე, ღმერთო ნინოსო, გემინათლე ბნელი ესე დამე და მიჩუენე საყოფელი ჩემი და აღვიარო სახელი შენი და აღვიართო ძელი ჭუარისა, და თაყუანის ვსცი მას და აღვაშენო სახი სიტყვები, ინათა, მზე გამობრუნდა, წარმოთქვა თუ არა მირიანმა ეს სიტყვები, ინათა, მზე გამობრუნდა, მირიანმა ღმერთის მადლობა შესწირა და მცხეთისკენ გაემართა. „და ვითარცა აღვიდა მეფე, შეიძრა ქალაქი“. მირიანი ლაღვებდა: „მეცით დიდება ღმრთისა ნინოსსა, რამეთუ იგი არს საუკუნოთა ღმერთი და მას მხოლოსა შენის დიდება უკუდავლი“. ამ დროს წმინდა ნინო მწყობრად მოლოცვობდა, მირიანი მიეპალა მას და უთხრა: „აუ ღირს ვარ მე სახელის-დედად სახელსა ღმრთისა შენისა და მსხენელსა ჩემისა“. ხოლო წმინდა ნინო ასწავებდა და ეტყოდა მსწრაფად თაყუანის-ცემად აღმოსავლეთით და აღსარებდა ქრისტესს, მისა ღმრთისასა. მაშინ იყო გარდაცვადა და ტირილი ყოვლისა კაცისა, რაჟამს ხედვიდეს მეფესა და დედოფალსა ცრემლოვანთა...“ მხოლოდ დღეს მირიან მეფემ კონსტანტინე კეთილად მოციქული გაგზავნა, წმინდა ნინომ ეულენ დედოფალს წერილი მისწერა, ყოველივე აუწყეს და „ითხოვნეს მოსწრაფებით მღვდელნი ნათლისობისათვის. ხოლო წმინდა ნინო და მოწაფენი მისნი ჯალაღებდეს ერსა მას ზედა დღე და ღამე დაუცხრომლად, და უჩუენებდეს ჯზასა ქვეშაბრისა სასუფეველთსა“.

მირიანმა დაუყოვნებლივ დაიწყო ტაძრის შენება, „ხოლო სუენი იგი უდიდესი, რომელი საკურნელ იყო ხილვით, საუფალ ეკლესიასა შესაღებელად განმზადეს. და ვერ შეძლეს ამოართებად მისა“. შემუშნა მეფე, შემუშნა ხალხი, მაგრამ ვერაფერი იღონეს. ღამით წმინდა ნინო მოწაფეებითურთ იქ დარჩა, „ხოლო სახატელი იგი გოდებდა სურება მას ზედა და ახიენდა ცრემლთა მისთა“. ღამემ სასწაულთბერი ხილვებში გაიარა, გამოთხინისა კი გამოეცხადათ სიძეობისი ჰაბუკე, რომელსაც „მიპყო ხელი სურება მას და აღმართა, წარბოლი სიმალესა შინა“.

გარეგარეგე მეფემ და ხალხმა „ითოლეს საკურნელი იგი, ნათლითა და წმინდალეს სუენი ჩამოვიდა და ადგილად თუისად... და დაეყარა ხელთა შემუშნად კაცთაგან... მისთა და სიხარულითა აღსო მცხეთა ქალაქი და სდიოდეს მდინარენი ცრემლი, მეფეთა და მთავართა და ყოველსა ერსა და სულთითქუნა სულითა სულთქმისათა და აღვიდნენ ომერთს და ნატრიდეს ნეტარსა ნინოს და იქმნეს მას დედა შინა სასწაულნი დიდნი და მრავალნი“. სხეულები და უკურნებელი ავადმყოფები მიხსლებოდნენ სეკეს და მუხსე იჭურებოდნენ. „მეფემან შეუქმნა საბურველი ძელისა გარემო სურება მას და აღვიდა ზედისაგან. და ეგრეთვე შეენებოდეს ერნი სართულსა და განიკურნებოდეს“. მირიანმა სწრაფად დაასრულა ტაძრის შენებლობა.

მალე ქართლში ჩამოვიდნენ კონსტანტინეს გამოგზავნილი ეპისკოპოსი იოვანე, ორი მღვდელი და სამი დიაკონი. აკურთხეს მდინარე მტკვარი, მონათლეს მეფე და ხალხი. მაგრამ „არა ნათელ იდეს მთიულთა კავკასიანთა“, არ მითინათა აგრეთვე მირიანის სიძე ფეროზი, „რომელსა ჰქონდა რანი ბარდავამდინ“.

შემდეგ მირიან მეფემ კონსტანტინე კეთილად იოვანე ეპისკოპოსი და ერთი წარჩინებული გა-

ავსავნა, „და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა“. ქრისტესეულად იოვანეს ოდენ გამოიჩინებოდა ერთი ღმრთის-მოყვარული — ცეცხლმცემი ელენესა და ითხოვა მღვდელი მრავალნი, რათა განავლინეს ყოველთა ქალაქთა და ადგილთა, ნათელ სცემდეს ერსა, რათა მსწრაფლ ნათელ იდეს ყოველმან სულმან ქართლისამან, და ითხოვნა ჭვითხური არ შენებისათვის ეკლესიათა“.

კონსტანტინე კეთილად „სიხარულითა მიახილა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა და ფიცარი იგი, რომელთა ზედა ფერხნი დამსწრულად იყუნეს უფლისანი და სამსწრაფნი ხელთანი“ და წარმოგზავნა მრავალი მღვდელი და დიაკონი, აგრეთვე ეპისკოპოს იოვანეს ეკლესიების ასაშენებლად დიდძალი ღირსი გამოატანა. წამოვიდა იოვანე მცხეთაში, გზად სამ ტაძარს ჩაუყარა საფუძველი, ერთმეთში, წუხდაში და მანგლოსში, დატოვა იქ მშენებლები, განძი და, რაც მთავარია, სიწმინდენი, ერთმეთში „ამსწრულნი უფლისანი“, მანგლოსში „ფიცარი იგი უფლისანი“.

როდესაც მირიანმა გაიგო, რომ პატიოსანი ჭვრის ნაწილები მცხეთაში არ ჩამოიტანეს, დალონდა, მაგრამ წმინდა ნინომ უთხრა: „ნუ სწუნ, მეფეო, რამეთუ ესრეთ ჭერ არს: სადაცა მივიდოდან, დასთესვიდენ სახლსა ღვთისასა, ხოლო არს ქალაქსა ამას შინა დიდებული სამოსელი უფლისა“. მირიანმა არ იცოდა, რომ ქრისტეს კვართი მცხეთაში ელიოზ მცხეთელმა ჩამოიტანა და თავის დასთან ერთად დაძაბა (ელოზის და სული განუტევა, როგორც კი ქრისტეს კვართი ხელში აიღო, ასევე დატოვალეს). მირიანმა ეს რომ გაიგონა, ხელები აღაპყრო და თქვა: „კურთხეულ ხარ შენ, უფლო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო ცხოველისაო, რამეთუ პირველთაგანვე გინდა ხსნა ჩუენი ემპიაკან და ადგოსა მისგან ბნელობისა; ამისთვის სასოსელი იგი წმიდა შენი წარმოეც წმიდით ქალაქით იერუსალიმით ებრაელთა მათ, ღმრთავნა შენისაგან უტოქმინლთა და ჩუენგან უცხოთა ნათეაეთა“.

მთვეს ქართლში დაიწყო ქრისტეანობის გავრცელება, ჭვრების აღმართვა, ეკლესიების მშენებლობა, „აუ მოეფინა მადლი ღმრთისა ქართლს“, მრავალი სასწაული იხილეს ქართველებმა, ხოლო მთიულეებმა „არა იხილეს ნათლისობა, მაშინ ერისთავმან ქართლისამან მიერედ წარმართა მანული მათ ზედა, ძლიერით შემუსრნეს კერპნი მათნი“. წმინდა ნინო ფეროზის, მირიანის სიძის მოსაძევად გაემართა, „ვითარცა მრავად კახეთს, დამა ბოლისა“, დასწრულდა და გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად იქვე, დაკრძალეს.

კონსტანტინე კეთილად ბაქარი, მირიანის ძე, რომელიც მცხეთელ ჰყავდა, ქართლში გამოგზავნა, მირიანს წერილი მისწერა, სადაც ქრისტესმთავარი სიყვარული განუცხადა. მირიანს ქრისტეს რჯულზე მოქცევის 25-ე წელს გარდაიცვალა მირიანის მეორე შვილი, რევი. იმავე წელს მირიანი დასწრულდა, ბაქარი იხმო და უთხრა: „შვილი ჩემო, შეცვალე ბნელი ნათლად და სიკუდილი ცხოვრებად, შენდა ჩემსა მცხეთა გვირგვინი მეფობისა ჰქმნისა. ღმერთმან, დამადებულმან ცისა და ქუეყანისამან, განმტკიცეს სრულსა საწმინდობასა ზედა. იწურითილი ყოველად მეცხეთასა ძისა მართისათა, და დადგარო სრულად მათ ზედა და სახელსა ზედა ქრისტესსა სიკუდილი ცხოვრებად განიღნენ, რომლითა წარუვალა ცხოვრება მთავრად. და სადა პოვებ ვნებანი იგი ცხოველისანი, ეკრბნი, ცეცხლითა დაწვენ და ნაცარი შეასო, რომელი მათ ესევიდენ და დიდნი და მრავალნი“. სხეულები და უკურნებელი ავადმყოფები მიხსლებოდნენ სეკეს და მუხსე იჭურებოდნენ. „მეფემან შეუქმნა საბურველი ძელისა გარემო სურება მას და აღვიდა ზედისაგან. და ეგრეთვე შეენებოდეს ერნი სართულსა და განიკურნებოდეს“. მირიანმა სწრაფად დაასრულა ტაძრის შენებლობა.

მალე ქართლში ჩამოვიდნენ კონსტანტინეს გამოგზავნილი ეპისკოპოსი იოვანე, ორი მღვდელი და სამი დიაკონი. აკურთხეს მდინარე მტკვარი, მონათლეს მეფე და ხალხი. მაგრამ „არა ნათელ იდეს მთიულთა კავკასიანთა“, არ მითინათა აგრეთვე მირიანის სიძე ფეროზი, „რომელსა ჰქონდა რანი ბარდავამდინ“.

შემდეგ მირიან მეფემ კონსტანტინე კეთილად იოვანე ეპისკოპოსი და ერთი წარჩინებული გა-